

შპს „ამბიენს“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ამბიენს“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3210093	2885952	145346	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	2812458	567519	838	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12335	17623	16397	
მარაგები	2006903	337459	1064	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	2006903	337459	1064	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	58226	55361	45997	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1322	1890	2457	
ძირითადი საშუალებები	197031	3126	67483	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	8298368	3868930	279582	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1729563	666300	9765	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	453	13121	1366	
საგადასახადო ვალდებულებები		6637	16157	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები		9362	293428	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		769255		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1730016	1464675	320716	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6566560	2404255	-41134	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	1792			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	6568352	2404255	-41134	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8298368	3868930	279582	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.				
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				
2				

შპს „ამბიენს“			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	12540602	6540029	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12377461	5642372	
- მომსახურების გაწევიდან	163141	897657	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8044822	-3540326	3.5
- საწყისი მარაგები	-337459	-1064	
- მარაგების შესყიდვა	-9714265	-3876721	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები	2006902	337459	
საერთო მოგება	4495780	2999703	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		355127	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-103351	-468838	
ცვეთა და ამორტიზაცია	-8270	-6088	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-33763		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-950927	-434515	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-1096311	-554314	
საოპერაციო მოგება	3399469	2445389	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	241268		3.7
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	523080		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	4163817	2445389	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	4163817	2445389	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	4163817	2445389	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2404255	-41134	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1512		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1792		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6568352	2404255	3.4
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.			
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			3

შპს „ამბიენს“		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1028056	1785608
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-195223	115370
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-849123	701450
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-16290	2602428
სავალუტო კურსის ეფექტი	340432	138178
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2885952	145346
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	3210094	2885952
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.		
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ამბიენს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 12 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401954122, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქ., კორპ. N51, ბინა N89. კომპანიის ახლანდელი ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. N 12.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები ამჟამად არიან: 75% - რასიმ ნამაზოვი (1CH8ZYZR, C00997869, P5300186 /აზერბაიჯანი/), 25% - შახლა მამედოვა (1W18RS9, C00987559 /აზერბაიჯანი/).

კომპანიის დირექტორია რასიმ ნამაზოვი (პ/ნ 01024017561).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პოლონეთიდან მედიკამენტების იმპორტი და შემდგომი რეექსპორტი აზერბაიჯანში. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა ფარმაცონსალტინგი და მედიკამენტების რეგისტრაცია.

1.4. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. მას აქვს რეგისტრირებული ფილიალი (წარმომადგენლობა) აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლიდან.

1.5. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2019 წელს შეადგენდა 17 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე (შენიშვნა: ამჟამად, ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად აღარ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი; 1 EUR=2.9913 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	6578	0
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	3154480	24163
ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	22467	2861789
ფული საბანკო ანგარიშებზე (აზერბაიჯანი)	26569	
სულ:	3210094	2885952

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეექსპორტისთვის განკუთვნილი საქონელი	2006857	320164
მიმწოდებლისთვის დასაბრუნებელი საქონელი		17249
საწვავ-საცხები მასალები	46	46
სულ:	2006903	337459

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონლისაგან.

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2018	დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2018	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2019	დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2019
ძირითადი საშუალებები აზერბაიჯანში				195607.45	6048.16	189559.29
კავშირგაბმულობის საშუალებები	787.29	13.12	774.17	6424.58	919.27	5505.31
კომპიუტ. ტექნიკა და სხვა მოწყობილობები	6695.72	6453.74	241.98	8729.62	6763.52	1966.10
სატრანსპორტო საშუალებები	22918.45	21772.53	1145.92			0.00
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (გარდა ავეჯისა)	12785.58	12767.68	17.90	12785.58	12785.58	0.00
მცირეფასიანი ავეჯი	5330.52	4384.18	946.34	1050.86	1050.86	0.00
სრულად	48517.56	45391.25	3126.31	224598.09	27567.39	197030.70

3.4. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2018 წლის ბოლოს მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან. რაც შეეხება 2019 წლის საკუთარი კაპიტალის სიდიდეს, მასში, გარდა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა, ჩართულია აზერბაიჯანის ფილიალთან მომხდარი ოპერაციებიდან წარმოშობილი სავალუტო საკურსო სხვაობა.

2019 წლის მოგებიდან განაწილება არ მომხდარა. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2019 წლის ბოლოს შედგება 2018 (ნაწილობრივ) და 2019 წელს მიღებული მოგებიდან, რომლის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2019 წელი	2018 წელი
საქონლის რეექსპორტი	12366998	5642372
მარკეტინგული მომსახურება		836724
ფარმაცონსალტინგი	17023	11547
წამლების რეგისტრაცია საქართველოსა და აზერბაიჯანში	58169	32328
საშუამავლო მომსახურება და ხარჯების კომპენსაცია	98412	17058
სულ:	12540602	6540029

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მთლიანად შედგება გაყიდული საქონლის (მედიკამენტების) თვითღირებულებისაგან, რომელიც იმპორტირდება პოლონეთიდან და ექსპორტირდება აზერბაიჯანში.

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
მიწოდების ხარჯები	34	12313
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	14534	1900
დაზღვევა		3770
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	58	353
მივლინების ხარჯები	4719	41392
ელ.ენერგია, გაზი, წყალი	1860	1800
„ავერსის“ მომსახურება	256690	99557
საკომუნიკაციო ხარჯები	1621	2344
საბანკო ხარჯები	5171	20586
აზერბაიჯანის ფილიალის ხარჯები	663930	
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	2310	250500
სულ:	950927	434515

3.7. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2019 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	413947
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-172679
სულ:	241268

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო

კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიაში 2018-2019 წლებში მოგება არ განაწილებულია, ამიტომ საანგარიშო წლის მოგება-ზარალი არ არის შემცირებული მოგების გადასახადის ხარჯით, რომლის გაწევა მოხდება დივიდენდების ფაქტობრივად გამოცხადების შემდეგ, დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

2020 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 2 თვე. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა მცირე ფინანსური სირთულეები. თუმცა, მენეჯმენტის შეფასებით, შექმნილ მდგომარეობას მის ძირითად მომხმარებლებზე არ უმოქმედია, რადგან კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2020 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3210093	2885952	145346	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	2812458	567519	838	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12335	17623	16397	
მარაგები	2006903	337459	1064	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	2006903	337459	1064	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	58226	55361	45997	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1322	1890	2457	
ძირითადი საშუალებები	197031	3126	67483	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	8298368	3868930	279582	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1729563	666300	9765	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	453	13121	1366	
საგადასახადო ვალდებულებები		6637	16157	
გამოუმტოვებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები		9362	293428	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		769255		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1730016	1464675	320716	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6566560	2404255	-41134	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	1792			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	6568352	2404255	-41134	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8298368	3868930	279582	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებლებსა და დირექტორებთან 30.09.2020 წ.

დირექტორი: R. Namatashvili რ. ნამაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან - მომსახურების გაწევიდან - სამშენებლო ხელშეკრულებებიდან - სხვა ამონაგები	12540602 12377461 163141	6540029 5642372 897657	3.5
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება - საწყისი მარაგები - მარაგების შესყიდვა - გადამუშავების დანახარჯები - საბოლოო მარაგები	-8044822 -337459 -9714265 2006902	-3540326 -1064 -3876721 337459	3.5
საერთო მოგება	4495780	2999703	
სხვა საოპერაციო შემოსავალი დასაქმებულთა ანაზღაურება ცვეთა და ამორტიზაცია საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო ხარჯი იჯარის ხარჯი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი სულ საოპერაციო ხარჯები	-103351 -8270 -33763 -950927 -1096311	355127 -468838 -6088 -434515 -554314	3.6
საოპერაციო მოგება	3399469	2445389	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება მ.შ. - ფინანსური აქტივების - მარაგების - სხვა არაფინანსური აქტივების წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული დივიდენდები სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	241268 523080	 2445389	3.7
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	4163817 4163817	2445389 2445389	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების) სხვა სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ: მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	 4163817	 2445389	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება) განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში კაპიტალის სხვა ცვლილებები კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2404255 -1512 1792 6568352	-41134 2404255	3.4

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: R. Namazov

რ. ნამაზოვი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

"Ambiance" Ltd

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1028056	1785608
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-195223	115370
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-849123	701450
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-16290	2602428
სავალუტო კურსის ეფექტი	340432	138178
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2885952	145346
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	3210094	2885952

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: R. Namazonov რ. ნამაზოვი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.